ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური საქმის წარმოების შეწყვეტის შესახებ

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

გია ტაბლიაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ეკატერინე გასიტაშვილი - კოლეგიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი- მ. ტ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 03.04.2014

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 035/14

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ ა. ჩ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. ჩ. - ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერლობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2014 წლის 03 აპრილს ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. ტ. - მ და მოითხოვა ადვოკატ ა. ჩ. - ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, „ამხანაგობა ..." უნდა გადაეცა მისთვის სამი ბინა, აქედან ერთ-ერთი ბინის საფასური 16 000 (თექვსმეტი ათასი) აშშ დოლარი უნდა გადაეხადა ამხანაგობისთვის ბინის ექსპლუატაციაში მიღებამდე. საჩივრის ავტორის განმარტებით,

ამხანაგობის თავმჯდომარემ, აღნიშნული ბინა გაყიდა, ამიტომ გადაწყვიტა მის წინააღმდეგ სარჩელის შეტანა სასამართლოში, რისთვისაც მიმართა დიდუბის მუნიციპალიტეტის საადვოკატო ბიუროს.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, იმ პერიოდში იყო სოციალურად დაუცველი, ამიტომ უფასო იურიდიული დახმარების პროგრამის ფარგლებში შედგენილი სარჩელი შესამოწმებლად მიუტანა მეგობრის შვილს, ა. ჩ. - ს, რომელიც იყო ადვოკატი.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, ა. ჩ. - ს არ მოეწონა შედგენილი სარჩელი და შესთავაზა, რომ თვითონ აწარმოებდა საქმეს, რის შემდეგაც, 2012 წლის 06 მარტს საჩივრის ავტორმა გაუფორმა მინდობილობა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, როდესაც მან ჰკითხა ა. ჩ. - ს, რატომ არ იყო მინდობილობაში მითითებული მის მიერ სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებაზე, მან უპასუხა, რომ სასამართლოში მას დაიცავდა ორდერით. ადვოკატმა ისიც განუმარტა საჩივრის ავტორს, რომ მ. ტ. - სთვის მნიშვნელოვანი იყო თანხის მიღების უფლება მის ნაცვლად ა. ჩ. - ისათვის მიენიჭებინა, რათა ტ. - ს სოციალურად დაუცველის სტატუსი არ მოხსნოდა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, იგი ენდობოდა ადვოკატს და დარწმუნებული იყო, რომ თანხას, რომელსაც ადვოკატი მის ნაცვლად მიიღებდა სასამართლო დავით ან მოლაპარაკებით, სრულად გადაეცემოდა.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, გარკვეული დროის შემდეგ ადვოკატმა დაარწმუნა, რომ სასამართლოში დავას აზრი არ ჰქონდა და უმჯობესი იყო ინვესტორისგან მოეთხოვა გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. მ. ტ. ენდობოდა ადვოკატს, მის რჩევას და და სთხოვა ა. ჩ. - ს, რომ ინვესტორისგან თანხა პირადად აეღო, რადგან თუ თანხა საჩივრის ავტორის ანგარიშზე ჩაირიცხებოდა, სოციალურად დაუცველის სტატუსი მოეხსნებოდა.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, აპრილის თვეში შეხვდა ინვესტორს და მოსთხოვა კუთვნილი თანხის დაბრუნება, რაზეც მან უპასუხა, რომ თანხა უკვე გადაუხადა ტ. - ს ადვოკატს ა. ჩ. - ს და ამის დასამტკიცებლად აჩვენა ადვოკატის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რითიც დასტურდებოდა, რომ ადვოკატ ა. ჩ. - ს აღებული ჰქონდა 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი და 975 (ცხრაას სამოცდა თხუთმეტი) ლარი.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან იმავე დღეს გაუუქმა მინდობილობა ადვოკატს და გამოართვა სასამართლოში წარსადგენი საბუთები. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი დაჰპირდა მ. ტ. - ს, რომ თანხას დაუბრუნებდა.

1.10 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატის მიერ თანხის დაუბრუნებლობის გამო მან მიმართა დიდუბის რაიონული პოლიციის სამმართველოს. დაკითხვისას ადვოკატმა გამომძიებელს განუცხადა, რომ საჩივრის ავტორთან შეთანხმებული იყო ერთად წამოეწყოთ ბიზნესი და ამაში გამოეყენებინა თანხა, რაც საჩივრის ავტორის განმარტებით, არის სიცრუე.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2013 წლის 04 ოქტომბერს პოლიციასთან ზეპირი გასაუბრების ოქმში ადვოკატმა აღნიშნა, რომ საჩივრის ავტორს დაუბრუნა 2 000 (ორი ათასი) აშშ დოლარი. მ. ტ. - ის განცხადებით, ადვოკატმა მას მხოლოდ 650 (ექვსას ორმოცდაათი) აშშ დოლარი დაუბრუნა საერთო ნაცნობის საშუალებით.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ა. ჩ. - მ ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2014 წლის 22 აპრილს. ადვოკატის განცხადებით, მასსა და საჩივრის ავტორს შორის არასდროს ყოფილა ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობა და არც რაიმე შეთანხმება არსებობს საადვოკატო მომსახურების გაწევის შესახებ.

2.2 ადვოკატის განცხადებით, საჩივრის ავტორი არის მისი ოჯახის ახლობელი და შეთანხმებულები იყვნენ, რომ ბინის იპოთეკით დატვირთვის შემთხვევაში წამოიწყებდნენ ერთობლივ ბიზნეს საქმიანობას, რის გამოც საჩივრის ავტორმა გაუფორმა მინდობილობა. ადვოკატის განმარტებით, მინდობილობით მას უფლება ჰქონდა მიეღო თანხა ამხანაგობიდან, დასწრებოდა ამხანმაგობის კრებებს და საჩივრის ავტორის ბინა დაეტვირთა იპოთეკით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, მინდობილობის საფუძველზე იგი იყო მ. ტ. - ის წარმომადგენელი, ისევე, როგორც შეიძლებოდა ყოფილიყო ნებისმიერი სხვა პირი და ამ დროს არ ახორციელებდა საადვოკატო საქმიანობას.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მასსა და მ. ტ. - ს შორის არსებობს მხოლოდ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულებები, რამელსაც კავშირი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევასთან.

2.5 საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განამარტა, რომ მ. ტ. მისი დედის მეგობარია, ოჯახებითაც მეგობრობდნენ და ახლო ურთიერთობა ჰქონდათ. ადვოკატის განმარტებით, ერთ დღეს მან მ. ტ. - ს სთხოვა, რომ თანხა სჭირდებოდა და თუ მას ჰქონდა ესესხებინა. ადვოკატის განცხადებით, ის მ. ტ. - ს სამართლებრივ კონსულტაციას არ უწევდა და მასთან მხოლოდ სასესხო ურთიერთობა აკავშირებდა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი ა. ჩ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრი /სიითი №/, საერთო სპეციალიზაციის. ადვოკატის ს.ს.ი.პ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ის არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან".

3.2 მ. ტ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2014 წლის 03 აპრილს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2012-2014 წლებში. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისათვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა- 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადვოკატ ა. ჩ. - ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ა. ჩ. - მ ისარგებლა მისი ნდობით, გაიფორმა რწმუნებულება, შეპირდა საადვოკატო მომსახურების გაწევას და მისი კრედიტორისგან მიიღო თანხა, რომელსაც აღარ უბრუნებს საჩივრის ავტორს.

5.2 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის პრეამბულის მიხედვით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი განსაზღვრავს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმებსა და ქცევის წესებს. ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ადვოკატს დისციპლინური პასუხისმგებლობა დაეკისრება: ა) ამ კანონის მე-5-მე-9 მუხლებით გათვალისწინებულ მოვალეობათა შეუსრულებლობისთვის; ბ) ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევისათვის.” ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5-მე-9 მუხლები, ისევე როგორც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის ნორმები, განსაზღვრავენ ადვოკატის ქცევის წესებს კლიენტების, კოლეგების, სასამართლოსა და პროცესის მონაწილე სხვა პირთა მიმართ, მაშინ, როდესაც ადვოკატი ასრულებს პროფესიულ ფუნქციას.

5.3 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე–6 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია ,,პირის საჩივარი, რომელსაც მიაჩნია, რომ ადვოკატის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და ინტერესები,“ 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს,“ ხოლო ამავე დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.“

5.4 ეთიკის კომისია მიუთითებს, რომ საჩივარში მითითებული საკითხის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში. ა. ჩ. უარყოფს იმ ფაქტს, რომ ის მოქმედებდა როგორც მ. ტ. - ის ადვოკატი. ამასთან, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ ა. ჩ. მოქმედებდა, როგორც მ. ტ. - ის ადვოკატი. საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი 2012 წლის 06 მარტის მინდობილობით დასტურდება, რომ მ. ტ. - მ ა. ჩ. - ს მიანიჭა წარმომადგენლობის უფლება ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობაში მისი წილის განკარგვასთან დაკავშირებით. ასეთი უფლებამოსილების მინიჭება შეიძლება ნებისმიერი პირისთვის, რომელიც არ არის ადვოკატი. მინდობილობით ა. ჩ. - ს არ მიუღია სასამართლოს რომელიმე ინსტანციაში ან ნებისმიერ სხვა ორგანოში მ. ტ. - ის წარმომადგენლობის უფლებამოსილება. შესაძლებელია, მ. ტ. - ის ნდობა ა. ჩ.-ის მიმართ

განაპირობა იმანაც, რომ ა. ჩ. იურისტია, თუმცა, მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შესწავლის შედეგად არ დასტურდება, რომ მან, როგორც ადვოკატმა რაიმე სახის სამართლებრივი კონსულტაცია გაუწია მ. ტ. - ს.

5.5 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების'' შესახებ დებულების მე–9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტით, რომლის მიხედვით ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში.“

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების დებულების მე-4 მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით, მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტით, მე-20 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №035/14 ა. ჩ. - ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /გია ტაბლიაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/